

წინამდებარე დაზღვევა გაცემულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-11/ნ ბრძანებით მოთხოვნების შესაბამისად

უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისი № PAOBG 21/1319

მზღვეველი: სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი ს/კ: 204426674

დამზღვევი ქ.ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა

დაზღვეული: ამავე პოლისის შესაბამის ხელშეკრულების დანართი #2-ში მითითებული პირები.

დაზღვეული რისკები: უბედური შემთხვევა – დამზღვევისგან/დაზღვეულისგან დამოუკიდებელი, თვალსაჩინო გარე ძალების ზემოქმედებით სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი გაუთვალისწინებელი და უეცარი შემთხვევა, დამდგარი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დაზღვევის პერიოდში:

- მსუბუქი სიმძიმის უბედური შემთხვევა
- საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა
- მძიმე უბედური შემთხვევა
- ფატალური უბედური შემთხვევა
- მასობრივი უბედური შემთხვევა

სადაზღვევო უზრუნველყოფის პერიოდი: მხოლოდ სამუშაო საათებში, პირდაპირ, გზის გაუმრუდებლად საცხოვრებელი ადგილიდან სამსახურში და სამსახურიდან საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობის ჩათვლით

სადაზღვევო უზრუნველყოფის არეალი: ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებულები იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით.

სადაზღვევო უზრუნველყოფა და ლიმიტები:

პაკეტი	GPIH 1
მთლიანი სადაზღვევო თანხა/მასობრივი შემთხვევის ლიმიტი	5000 ლრი
სადაზღვევო თანხა ერთ დაზღვეულზე	5000 ლრი
გარდაცვალება	5000 ლრი
მუდმივი შრომისუუნარობა	5000 ლრი
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	200 ლრი
დროებითი შრომისუუნარობა	დღეში 15 ლარი. მაქსიმუმ 300 ლარი

სადაზღვევო პერიოდი: ---22.02.2021-- დას --21.02.2022-- მდე

სადაზღვევო პრემია: -600- ლარი

გადახდის გრაფიკი: ერთჯერადი. გადახდის თარიღი: 25/ 02 / 2021

წლის განმავლობაში დაზღვეულთა მაქსიმალური რაოდენობა __100__ თანამშრომელი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ აქ მოყვანილი მონაცემები არის სრული და ზუსტი, გავეცანი და ვეთანხმები უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებს. თანახმა ვარ, რომ თუ ეს მონაცემები აღმოჩნდა მცდარი ან ყალბი, მზღვეველი არ იქნება ვალდებული ანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ასევე თანახმა ვარ მზღვეველისგან მივიღო ნებისმიერი ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით.

წინამდებარე პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების შემდეგ, პოლისის მოქმედება გაგრძელდება ავტომატურად იგივე ვადით, დამზღვევის მიერ პოლისის გაუქმების მოთხოვნამდე.

პოლისი ძალაშია დაზღვევის განაცხადთან, დაზღვევის ხელშეკრულებასთან და დაზღვევის პირობებთან ერთად, მხოლოდ წინამდებარე პოლისზე მზღვეველის ბეჭდისა და უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის არსებობის შემთხვევაში.

დამზღვევი:

მზღვეველი:

პოლისის გაცემის თარიღი: